სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ გენერალური დირექტორი

# ბრძანება

№ 2/131

„7“ [illegible] 2014წ. ქ. თბილისი

## კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8 აპრილის №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს;

2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება;

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).

გენერალური დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელი პაატა გაფრინდაშვილი

ბრძანება №2/131
7 აგვისტო 2014წ.

დანართი

| | ფოტო | სახელწოდება | ადგილმდებარეობა | სახეობა | თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 |  | წმ. გიორგის ეკლესია | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბოსლევი | არქიტექტურის | 1867 წელი |
| 2 |  | სულხან ჭავჭავაძის სასახლე | კახეთის რეგიონი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვაზისუბანი. | არქიტექტურის | XIX საუკუნის მეორე ნახევარი |
| 3 |  | წმ. გიორგის ეკლესია | საქართველო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუბანი | არქიტექტურის | 1893-1895 წელი |
| 4 |  | ივანე ანდრონიკაშვილების სასახლე | საქართველო, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. არაშენდა | მემორიალური | 1880 - იანი წლები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5 |  | კართანას ეკლესია | საქართველო, დუშეთის მუნიციპალიტეტი, ნასოფლარი კართანა | არქიტექტურის | XI საუკუნე |
| 6 |  | სამების ეკლესია მარტაზისხევისა. | საქართველო, მცხეთა-მთიანეთის მხარე, მცხეთა. | არქიტექტურის | XI ს. პირველი მესამედი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7 |  | მაცხოვრის ეკლესია | საქართველო, დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭილურტი | არქიტექტურის | XIX საუკუნე |
| 8 |  | არქეოლოგიური მუზეუმი | საქართველო, ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ.№ 77 | არქიტექტურის | XX ს |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9 |  | ვ.ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა | საქართველო, ქ.ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ.№11 | არქიტექტურის | XX ს-ის შუა ხანა |
| 10 |  | ვაჩნაძიანის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია | საქართველო, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაჩნაძიანი. | არქიტექტურის | გვიანი შუა საუკუნეები |
| 11 |  | რესტორანი | საქართველო, ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N16 | არქიტექტურის | XX ს-ის შუა ხანა |
| 12 |  | საცხოვრებელი სახლი | საქართველო, ქ. დაბა ჩაქვი. ნინოშვილის ქ N18 | არქიტექტურის | XIX ს-ის ბოლო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13 |  | საცხოვრებელი სახლი | საქართველო, ქ. დაბა ჩაქვი. ნინოშვილის ქ N24 | არქიტექტურის | XIX ს-ის ბოლო |